



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

თავი 4

თავი 4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები

თავის შესრულების პროგრესი: 45.6% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

ძირითადი მიგნებები

2016-17 წლების სამოქმედო გეგმის მსგავსად, ამჯერადაც, გეგმის მე-4 თავის პრიორიტეტს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად (მიზანი 4.1), მოწყვლადი ჯგუფების უფლებები მდგომარეობის გაუმჯობესება (მიზანი 4.2), ბრალდებულ/მსჯავრდებულთა (მიზანი 4.3) და ყოფილ მსჯავრდებულთა (მიზანი 4.4) რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამასთან, ახალი გეგმა მოიცავს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც პენიტენციური სისტემის მენეჯმენტში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვას ისახავს მიზნად (მიზანი 4.5).

პატიმართა უფლებები მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით დასახული ამოცანებისა და დაგეგმილი საქმიანობების შესრულების ხარისხი 2018 წლის ბოლოსთვის არც ისე დამაკმაყოფილებელია - იმ პირობებში, როდესაც სისტემაში არსებობს კრიმინალურ სუბკულტურაზე დაფუძნებული არაფორმალური მართვის სისტემა, რომელიც პატიმრებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებისთვის, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის პრინციპის განხორციელებისთვის სერიოზული გამოწვევაა, ხოლო რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებები კვლავ ვერ პასუხობს მსჯავრდებულთა რეალურ საჭიროებებს, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება მომავლის პერსპექტივად რჩება.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა არცერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დადებითად აისახებოდა პატიმრების უფლებრივ მდგომარეობაზე; როგორც გასულ წლებში, კვლავ გამოწვევად რჩება გადატვირთულობის პრევენცია პენიტენციურ დაწესებულებებში - გარდა ლიმიტით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი პატიმრების განთავსებისა, პრობლემურია თითოეული პატიმრისთვის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფა, რაც უკვე წლებია, რეკომენდებულია ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ. ამ უკანასკნელის 2018 წლის ანგარიშში კვლავ მითითებულია პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ხარვეზებზე, რომელთა აღმოფხვრაც გადატვირთულობის პრევენციის ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა.

დადებითად უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებები პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე, საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ წარსულში ორი ყველაზე პრობლემური - N7 და N12 დაწესებულებების დახურვა და ახალ შენობებში განთავსება, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად ყველა დაწესებულების პატიმრები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი ინვენტარით და პირადი ჰიგიენის ნივთებით; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ორგანოების ანგარიშების მიხედვით, რიგი დაწესებულებებისა კვლავ ვერ უზრუნველყოფს პატიმრებისთვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნას.

2018 წლის განმავლობაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების, მათ შორის ფსიქიკური და პრევენციული ჯანმრთელობის სერვისების მართვის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ

განხორციელებულა.

მონიტორინგის ორგანების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაფუძნებით, ზოგადად გაუმჯობესებულია წვდომა ჯანმრთელობის მომსახურებაზე როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე დაწესებულების გარეთ. დადებით ტენდენციას ინარჩუნებს C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის პროგრამების მართვა და მოცვა, როგორც პრევენციული (სკრინინგი), ასევე სამკურნალო აქტივობებით.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩება სამედიცინო სერვისების ანონიმურობა/კონფიდენციალობის საკითხი, საკონსულტაციო და სამკურნალო სერვისების მიღებამდე მოლოდინის დრო და პრევენციული ჯანმრთელობის სერვისებზე პატიმართა ცნობიერების დაბალი დონე.

2018 წელს გაზრდილია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების გამოვლენილი შემთხვევების რიცხვი. ამ მიმართულებით არსებული პროგრამები კვლავ ვერ უზრუნველყოფს პატიმართა მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და გაუმჯობესებას. საანგარიშგებო პერიოდში არ შემუშავებულა და არ დამტკიცებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტი რომელიც უზრუნველყოფდა არსებულ გამოწვევების აღმოსაფხვრელად თანმიმდევრულ და სტრატეგიულ მიდგომებს.

ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, ვერ მოხერხდა სუიციდის პრევენციის პროგრამების ეფექტურობის შეფასება. არსებული სუიციდის პროგრამების/აქტივობების შინაარსის დადებითი შეფასების მიუხედავად გართულებულია მისი გავლენის გამოვლენა სუიციდის რისკის მქონე პატიმართა მდგომარეობაზე.

არ განხორციელებულა ცვლილებები წამალდამოკიდებულ პატიმართა ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ხელმისაწვდომი სერვისები არასრულყოფილია და ვერ ახდენს პატიმართა შესაბამისი ფსიქოსარეაბილიტაციო სერვისებით უზრუნველყოფას.

მოწყვლადი პატიმრების უფლებების თვალსაზრისით განსაკუთრებული გაუმჯობესებები 2018 წლის მანძილზე არ აღინიშნება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თავად გეგმის ხარვეზი, რომელიც მოწყვლადი პატიმრების კატეგორიაში მხოლოდ ქალებს, არასრულწლოვნებს და შშმ პირებს მოიაზრებს და შესაბამისად, არ ფოკუსირდება ისეთ მნიშვნელოვან ჯგუფებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ლგბტ, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები და სხვა.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობას, ამ მხრივ განსაკუთრებული გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდში არ აღინიშნება - პენიტენციურ დაწესებულებათა უმრავლესობა კვლავ არ არის ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სტატისტიკურ ანგარიშებში არ მოიპოვება ინფორმაცია შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სოციალური პროგრამების თაობაზე.

პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით საანგარიშო პერიოდში რიგი ღონისძიებები განხორციელდა. სამწუხაროდ, დღესდღეობით დანერგილი პროგრამები კვლავ ვერ უზრუნველყოფს არსებული საჭიროებების მოცვას და წინა წლების მსგავსად, მათში პენიტენციური სისტემის პოპულაციის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული.

დადებითად უნდა აღინიშნოს უმაღლესი განათლების მიმღებ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საკმაოდ მაღალი რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ექსპერტების მონაწილეობით რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ციხის თანამედროვე მმართველობის მეთოდოლოგიის სფეროებში შემუშავებული კონცეფციები და სასწავლო პროგრამები, პენიტენციური სისტემის მაღალი და საშუალო რანგის თანამშრომლების, ისევე, როგორც სოცმუშაკთა და ფსიქოლოგთა პროფესიული გადამზადება. ამ სიახლეების ადეკვატური დანერგვისა და გადამზადებული პერსონალის პროფესიული პოტენციალის

სრული გამოყენების შემთხვევაში მომავალ წლებში შესაძლებელი გახდება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით არსებული სერიოზული პრობლემების მოგვარება.

მიზანი 4.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად

მიზნის შესრულების პროგრესი: 35%

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაგეგმილია:

- ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა
- გადატვირთულობის პრევენცია
- საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება
- სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება

ამ მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები ადეკვატურია საქართველოს პენიტენციურ სისტემაში საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დასაწერად, თუმცა, როგორც მათი შესრულების ხარისხი გვაჩვენებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის შესაქმნელად კვლავ მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო - საანგარიშო პერიოდში მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა დაწესებულებების საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, არანაირი მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა გადატვირთულობის რეალური მიზეზების დადგენისა და მათი აღმოფხვრის თვალსაზრისით, ხოლო განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათის იყო და არანაირი გავლენა არ მოუხდენია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს, მისასაღმებელია დადებითი ტენდენციის შენარჩუნება ინფექციური დაავადებების მართვისა და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამასთან, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ფსიქიკური აშლილობის მქონე და წამალდამოკიდებულ პაციენტთათვის შეთავაზებული სერვისების ნაკლებობა, რაც თავისთავად სათუოს ხდის სუიციდის პრევენციის პროგრამის გამართულ მუშაობას, ასევე, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად ხდება სამედიცინო კონფიდენციალობა და სხვა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებული პროგრესით არ გამოირჩეოდა.

ამოცანა 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება:

2018 წელს და 2019 წლის პირველ ნახევარში არ განხორციელებულა არცერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც გააუმჯობესებდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებრივ მდგომარეობას.

2018 წლის 5 ივლისს პატიმრობის კოდექსში 60 ცვლილება განხორციელდა, თუმცა ისინი

ტექნიკური ხასიათისა და გამოწვეულია სასტელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გაუქმებით, ახალი სსიპ-ების შექმნით და სხვა მომიჯნავე უწყებების სახელწოდების ცვლილებით.

რაც შეეხება კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტულ ანალიზს, შესაბამისი ცვლილებების მომზადების მიზნით, აღნიშნულის თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

ჭერჭერობით კვლავ შეუსრულებელი რჩება მონიტორინგის ორგანოების მთელი რიგი რეკომენდაციები, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, მაგალითად, ბრალდებულთათვის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრის თაობაზე; პირობით ვადამდე გათავისუფლების დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში ამოცანა 4.1.1 არ შესრულებულა.

აქტივობა 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტული ანალიზი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასტელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში;

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

აქტივობა 4.1.1.2. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში;

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ამოცანა 4.1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია

ამოცანის შესრულების პროგრესი: 25%

საანგარიშო პერიოდში გადატვირთულობა კვლავ პრობლემად რჩებოდა პენიტენციური სისტემის მთელ რიგ დაწესებულებებში, რაც სახალხო დამცველისა და ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ანგარიშებშიც იქნა ხაზგასმული.

გადატვირთულობის აღმოფხვრისა და შემდგომი პრევენციისთვის აუცილებლად გვესახება, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შეისწავლოს გადატვირთულობის მიზეზები და გააუმჯობესოს მსჯავრდებულთა გადანაწილების პრაქტიკა იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში არსებული გადატვირთულობის ფონზე იმავე ტიპის სხვა დაწესებულებებში ლიმიტი არ არის შევსებული.

ამგვარად, ამოცანა 4.1.2 საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.

აქტივობა 4.1.2.1. ყველა მსჯავრდებულის უზრუნველყოფა მინიმუმ 4 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით მრავალადგილიან საკნებში და მინიმუმ 6 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით ერთადგილიან საკანში

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით

სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

2018 წელს კვლავ ვერ მოხერხდა მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის ორგანოების მიერ რეკომენდებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით.

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით: „2018 წლის განმავლობაში პრობლემური იყო ყველა მსჯავრდებულისთვის პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი 4 კვ.მ. მინიმალური პირადი ფართით უზრუნველყოფის საკითხი. გარდა ამისა, არ შესრულებულა სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული წინადადება ბრალდებულების მინიმალურ საცხოვრებელ ფართად 4 კვ.მ.–ის განსაზღვრასთან დაკავშირებით“^[1].

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, მსჯავრდებულთა 4 კვ.მ. ფართით უზრუნველყოფის თვალსაზრისით პრობლემურია N2, N8, N14, N15 და N17 დაწესებულებები.^[2]

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით: “ძირითად, გადატვირთულობა პრობლემას აღარ წარმოადგენს დაწესებულებებში, სადაც ვიზიტები განხორციელდა, გარდა N8 და N15 დაწესებულებისა. კომიტეტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ბრალდებულებისთვის საცხოვრებელი ფართი კვლავ იგივე დარჩა (3 მ²). კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას უზრუნველყოს მინიმალური სტანდარტული საცხოვრებელი ფართი 4 მ² თითოეული პატიმრისთვის (სანიტარული წერტილების გამოკლებით) ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ნებისმიერი კატეგორიის პატიმრისთვის, ერთ კაცთან საკნებში სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს მინიმუმ 6 მ²-ს. ახლად აშენებულ დაწესებულებებში საცხოვრებელი ფართის სტანდარტი სასურველია იყოს უფრო მაღალი“^[3].

თავად სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში გადატვირთულობის პრობლემა ქუთაისის N2 და ქსნის N15 დაწესებულებებში აღინიშნებოდა.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.57

[2] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 45

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, გვ.27

აქტივობა 4.1.2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის დახვეწა, ინდივიდუალური მიდგომის იმპლემენტაცია და მსჯავრდებულთა ჩართვა განხილვის პროცესში.

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართობით

სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა არანაირი ხელშესახები ცვლილება პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გასაუმჯობესებლად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს ბრძანება N320, რომელიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს არეგულირებს,

არანაირ ცვლილებას არ შეიცავს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, განხილვის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართვის და ინდივიდუალური მიდგომის დახვეწის თვალსაზრისით.

საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „დასახვეწია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების არსებული სისტემა, რომელიც ხარვეზებით მუშაობს: “უმთავრეს პრობლემად რჩება გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის პრობლემა. ასევე იკვეთება ადგილობრივი საბჭოების განსხვავებული მიდგომები იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში, რაც განსხვავებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში გამოიხატება.“^[1]

ჩვენს წერილობით კითხვაზე, რამდენი საჩივარი იქნა წარდგენილი 2018 წელს სასამართლოებში, პვგ საბჭოების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო და როგორი იყო აღნიშნული სტატისტიკა 2016-2017 წლებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია. აღნიშნული სტატისტიკა არც სხვა უწყებების ვებგვერდებზე მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები, როგორც ასეთი, არ იძლევა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების შეფასების საშუალებას, აღნიშნული სტატიკური მონაცემის ყოველწლიური დინამიკა მაჩვენებელი იქნებოდა, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ მსჯავრდებულები გასაჩივრების ახალ მექანიზმს და როგორია ამ უკანასკნელის ეფექტიანობა.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.49

ამოცანა 4.1.3. საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 75%

პენიტენციური დაწესებულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაცემული საჭირო ინვენტარის რაოდენობა

ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი საჭირო ინვენტარით

აქტივობა 4.1.3.1. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა

<p>პასუხისმგებელი უწყება:</p> <ul style="list-style-type: none">• სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
--

ინდიკატორი:

განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

მონიტორინგის შეფასება:

აღნიშნულ ამოცანასთან მიმართებაში სამოქმედო გეგმა მიუთითებს ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მიერ 2014 წლის ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციებს მთელი რიგი პენიტენციური დაწესებულებების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით,^[1] მათ შორის:

- N7 და N9 დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების უმეტესობის მდგომარეობა კომიტეტმა არაადაამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად შეაფასა გამომდინარე იქიდან, რომ მათ მაქსიმალურად ჰქონდათ შეზღუდული გარე სამყაროსთან ურთიერთობა.
- ზოგადად, კომიტეტის აზრით, გადასახედი იყო სამართლო საკნებში განთავსების პროცედურები - მსგავსი განთავსება მომხდარიყო გამჭვირვალედ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით და პროცედურული გარანტიების დაცვით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული თვითნებობა ადმინისტრაციის მხრიდან.
- ინფორმაციისადმი წვდომაზე ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი ხასიათის, დასაბუთებული და მაქსიმალურად მცირე დროით; ასეთი შეზღუდვის თაობაზე პატიმარს წერილობითი გადაწყვეტილება უნდა მიეწოდოს და ინფორმირებული იყოს გასაჩივრების უფლების თაობაზე.
- ბათუმის N3 დაწესებულების პრობლემად სახელდებოდა წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული შეფერხებები.
- CPT განსაკუთრებული ხაზგასმით კიდევ ერთხელ მიუთითებდა სავარჯიშო მოედნებისა და სპორტული ინვენტარის სიმწირესა და არაადეკვატურობაზე ბათუმის N3, N7, N8 და N9 დაწესებულებებში.

იმავე ამოცანის შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმაში ასევე მითითებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თაობაზე,^[2] რომელიც შეეხება მთელ რიგ დაწესებულებებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებებს.

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში გარკვეული დადებითი ტენდენცია შეინიშნება. დაიხურა ორი პრობლემური დაწესებულება - N7 და N12, გარემონტდა რამდენიმე დაწესებულება. პატიმრების უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და კანონით გათვალისწინებული ჰიგიენური ნივთებით მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე ხდება. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ორგანოების ანგარიშებში კვლავ მითითებულია მთელი რიგი სერიოზული პრობლემები, რომლებიც დაწესებულებების საყოფაცხოვრებო და ჰიგიენურ პირობებს შეეხება (მათ შორის, მკბენარებისა და მღრღნელების არსებობა) და რაც უმოკლეს პერიოდში უნდა გამოსწორდეს. მთელი რიგი დაწესებულებების ინფრასტრუქტურაც მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამოცანა 4.1.3 მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში მსტავრდებულთა/ბრალდებულთა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით დამაკმაყოფილებელია, რის გამოც აღნიშნული საქმიანობა უკვე ამ ეტაპზე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, CPT-ის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, მონახულებული დაწესებულების საკნებში არსებული ავეჯი და ინვენტარი დამაკმაყოფილებელია; პრობლემა არც თეთრეულით და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფის მხრივ გამოვლენილა.^[3] ამ მხრივ პრობლემები არც საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში არის მითითებული.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2014 წლის 1-11 დეკემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 15 დეკემბერი, 2015 წელი, პარ. 59, 61, 67, 75, 170; ნანახია 01.10.2019

[2] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, 30 ივნისი, 2017 წელი, პუნქტი 6, “კ”, “ჟ”, “რ”, “ს”, “ტ”

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 59, 60, 62, 66

აქტივობა 4.1.3.2. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება:	
• სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	
ინდიკატორი:	
განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად	
სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

მიუხედავად რიგ დაწესებულებებში არსებული სერიოზული ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, 2017-18 წლებში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით, 4.1.3.2 საქმიანობა, 2018 წლის ბოლოსთვის, სანახევროდ შესრულებული იყო.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მხრივ დადებითად აღსანიშნავია N7 დაწესებულების გადასვლა ახალ შენობაში, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს, რასაც ასევე ადასტურებს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ანგარიშიც.^[1] ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს 2019 წლის თებერვალში N12 დაწესებულების გადასვლა ახალ ლოკაციაზე, სადაც მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით.^[2]

CPT ასევე მიუთითებს, რომ ბათუმის N3 დაწესებულებაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, გაუმჯობესდა წყლის მიწოდება, შესაბამისად, საყოფაცხოვრებო პირობები დამაკმაყოფილებელია.^[3] კომიტეტმა ასევე დამაკმაყოფილებლად შეაფასა N9 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და აღნიშნა, რომ საკნების ნაწილში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ხოლო ნაწილი უკვე გარემონტდა.^[4]

კომიტეტი აღნიშნავს, რომ გლდანის დაწესებულებაში მხოლოდ არასრულწლოვანთა განყოფილება გარემონტდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია და განახლებას საჭიროებს.^[5] ასევე გარემონტებას საჭიროებს N6^[6] და N15^[7] დაწესებულებების საკნების ნაწილიც.

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით: „გეგმური სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, წინა წლების მსგავსად, 2018 წლის განმავლობაში პრობლემური იყო საკნებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები №2, №8, №12, №14, №15, №17, №18 და №19 დაწესებულებებში. №2, №8, №15, №16, №17 დაწესებულებებში გავრცელებულია მწერები. ვიზიტების დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა თავად იხილეს ტარაკნები და ბაღლინჯოები ფსიქოლოგების სამუშაო ოთახებში, საცხოვრებელ საკნებსა და სამართო საკნებში. ჯგუფის წევრებს არაერთმა პატიმარმა აჩვენა მწერის ნაკბენები“^[8].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის მეორე ნახევრისთვის დასრულებული უნდა იყოს ახალი დაწესებულებების მშენებლობისა და არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოების შესაძლებლობების გეგმა, ხოლო 2019 წლის ბოლოსთვის - მთელი რიგი დაწესებულებების დახურვის გეგმა (აქტივობა A.1.1). საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის გამო უცნობია, რამდენად განხორციელდა დაგეგმილი აქტივობა და რა ეტაპზეა აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების პროექტები.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 64

[2] <http://sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23321-cikhe-gushin-da-dghes-2.html>, ნანახია 04.12.2019

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას

საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 56, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ღამის მანძილზე ბათუმის N3 დაწესებულების საკნებში კვლავ რამდენიმე საათით წყდება წყლის მიწოდება: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 45

[4] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 60

[5] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 58

[6] *ibid.*, პარ. 63, ნანახია 01.10.2019

[7] *ibid.*, პარ. 69, ნანახია 01.10.2019

[8] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.57

ამოცანა 4.1.4. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, პრევენციაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წამალდამოკიდებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 40%

შეფასება:

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) 4.1.4 ამოცანით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების მიწოდების შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი მონიტორინგის ორგანოების მიერ 2018 -2019 წლებში გამოქვეყნებული ანგარიშები და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ყოველთვიური სტატისტიკური ფორმები.

შეფასება ეფუძნება იდენტიფიცირებული დოკუმენტების მიმოხილვას, შესწავლას და ანალიზს. შეფასების მიზნით არ განხორციელებულა სავლელე კვლევა, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა, სიღრმისეულად შეგვესწავლა როგორც სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროულობა და ხარისხი, ასევე, გეგმით გათვალისწინებული პრევენციული და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა პენიტენციურ სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაში ჯანმრთელობის საკითხებს მხოლოდ ერთი ამოცანა ეთმობა, რომელიც ვერ ფარავს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების სრულ სპექტრს და მხოლოდ კონცენტრირებულია ჯანმრთელობის სერვისების რამდენიმე მიმართულებაზე.

ამოცანის ინდიკატორები არასრულყოფილია და არ იძლევა ამოცანის ქვეშ მოქცეული საქმიანობების სრულყოფილად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, საქმიანობა 4.1.4.1, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით ბრალდებულთა/მჯავრდებულთა უზრუნველყოფას (რაც, თავისთავად იმდენად ფართო სფეროა, რომ მისი მოქცევა ერთ საქმიანობაში უკვე არასწორია), ფასდება ამოცანის ქვეშ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი ინდიკატორით - C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ჯანმრთელობის პროგრამით გათვალისწინებული სერვისები მოიცავს სამედიცინო საქმიანობის გაცილებით ფართო სპექტრს. ასევე არ არის განსაზღვრული ინდიკატორი პენიტენციური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევაზე, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს ეხება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგვაჩნია, რომ სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით მიღწეული შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს დასახულ ამოცანებს.

აქტივობა 4.1.4.1. სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით ბრალდებულთა/მჯავრდებულთა უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი)

სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება

სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე

პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

პენიტენციური ჯანდაცვის ძირითადი პრინციპების თანახმად,¹⁹ პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო სერვისებით.

მონიტორინგის ორგანოების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში პატიმრების სამედიცინო მომსახურება მოიცავს სამედიცინო სერვისების მიღებას როგორც დაწესებულებაში, ასევე დაწესებულების გარეთ. როგორც სახალხო დამცველი მიუთითებს, დაწესებულებაში პირველადი ჯანდაცვის ექიმის, ექთნისა და სტომატოლოგის გარდა, შესაძლებელია სხვადასხვა ექიმ სპეციალისტთან კონსულტაცია, ხოლო გარე რეფერალი ხორციელდება ძირითადად სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში.^[5]

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) 2018 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში მიუთითებს, რომ ზოგადად, საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულია პატიმრების წვდომა როგორც პირველადი, ასევე მეორეული ჯანდაცვის სერვისებზე. სამედიცინო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა ყველა დაწესებულებაში, გარდა N6 და N15 დაწესებულებებისა, დამაკმაყოფილებელი იყო.^[6]

თუმცა ამავე ანგარიშში აღნიშნულია არაერთი გამოწვევა რომელიც სერვისის ხელმისაწვდომობის ბარიერად შეიძლება განიხილოს. კომიტეტი მიუთითებს საკონსულტაციო და სამკურნალო სერვისების მიღებამდე მოლოდინის გახანგრძლივებული დროზე N15 დაწესებულებაში - დიაგნოსტიკურ გამოკვლევაზე მოლოდინის პერიოდი ერთ წელს აღწევს ხოლო გეგმიურ ქირურგიულ პროცედურაზე პაციენტებს უწევთ 2 წელი ან მეტი მოლოდინის რეჟიმში ყოფნა. გარკვეული ეჭვებს კომიტეტი N6 და N9 დაწესებულებების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის თაობაზეც გამოთქვამს.^[7]

როგორც CPT-ის, ისე სახალხო დამცველის თანახმად, სამედიცინო კონფიდენციალურობის საკითხი კვლავ პრობლემურია: კომიტეტის თანახმად, უმეტეს შემთხვევაში, სამედიცინო კონსულტაციებისას არ არის დაცული კონფიდენციალურობა. ციხის თანამშრომლების დასწრების გამო პაციენტები საკუთარ პრობლემებზე ღიად ვერ საუბრობენ.^[8] სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ასევე ვრცლად არის საუბარი კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღნიშნულია, რომ ციხის თანამშრომლების გარდა, კონსულტაციას ზოგჯერ სხვა პატიმრებიც ესწრებიან.^[9]

დასახული საქმიანობის შესაფასებლად წარმოდგენილი ინდიკატორი (წინა წლებთან შედარებით დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში - სტატისტიკური მონაცემები - C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი) ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სამედიცინო მომსახურების სამოქალაქო სექტორთან ექვივალენტობის სრულ შეფასებას, რადგან ინდიკატორი ფარავს ავადობის მხოლოდ ორი მიმართულებას.

საანგარიშო პერიოდში ამოცანის ინდიკატორით გათვალისწინებულ დაავადებათა (C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი) მართვა დადებითად შეიძლება შეფასდეს. ორივე მიმართულებით აქტიურად ხორციელდებოდა როგორც პრევენციული (სკრინინგ პროგრამები), ასევე სამკურნალო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება სამი სახელმწიფო პროგრამა - ტუბერკულოზის, აივ/შიდსისა და ვირუსული „C“ ჰეპატიტის. ტუბერკულოზის პროგრამა ინტეგრირებულია ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამასთან. დანერგილია ტუბერკულოზის სკრინინგული გამოკვლევები რომელებიც სისტემატურად ტარდება და ამას ადასტურებს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიან ყოველთვიურ ანგარიშებში წარმოდგენილი მზარდი სტატისტიკა ტუბერკულოზის ყველა სახის სკრინინგის ჩატარების შესახებ.^[10]

ინფექციურ დაავადებებზე გამოკვლევები პატიმრებს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებისას უტარდებათ, ხოლო განმეორებითი კვლევები - ყოველ სამ თვეში ერთხელ. დამატებითი კვლევების საჭიროების გამოკვეთა და უზრუნველყოფაც დროულად ხდება. მკურნალობის უწყვეტობა გამოსავლის ეფექტურობას უზრუნველყოფს.^[11]

2018 წელს არ გაზრდილა, მაგრამ ინარჩუნებს დადებით ტენდენციას B და C ჰეპატიტებზე

ნატარებული სკრინინგის რაოდენობა. 2018 წლისთვის ის შეადგენს 5743, 2017 წელს აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 5837. 2018 წელს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული იყო 1600 ადამიანი.^[9]

მიუხედავად გადამდები დაავადებების ეფექტური მართვისა, პრობლემურია პრევენციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. პატიმართა ჯანმრთელობის სერვისები კვლავ ორიენტირებულია უკვე დამდგარი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკურნალობაზე, ვიდრე პრევენციაზე. გამოწვევად რჩება დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისა და მართვის მიზნით არაგადამდები დაავადებების სკრინინგი და პროფილაქტიკური გასინჯვები. სამედიცინო პერსონალი უკვე კლინიკურად გამოხატულ ნიშნებზე რეაგირებს და მკურნალობაც სიმპტომურ ხასიათს ატარებს. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის ყოველთვიური სტატისტიკის მონაცემების ანალიზის თანახმად, გარდაცვალების ძირითად მიზეზად სახელდება სომატური ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის, გულსისხლძარღვთა, სასუნთქ და საჭმლის მომწელებელ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც შესაძლებელია თავიდან აცილებადი დაავადებების არასწორ, არადროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას დაგუკავშიროთ.

დაბალია პატიმართა ინფორმირებულობა პრევენციული სერვისების არსებობის და მნიშვნელობის შესახებ. სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.^[10] თუმცა ამოცანა 4.1.4 განსაზღვრავს პრევენციაზე დაფუძნებული მომსახურებით უზრუნველყოფას, რაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ორი გადამდები დაავადების მართვის უზრუნველყოფით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში გარკვეული პროგრესისა, რაც პირველ რიგში ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის მართვას შეეხება, ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა და ხარვეზების გამო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხი სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტურად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, ზუსტი ვადების მითითებით, პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის თვალსაზრისით, რაც, კომიტეტის აზრით, აუცილებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.^[11]

[1] <http://sps.gov.ge/ka/saqmianoba/penitenciuri-jandacvis-servisi/penitenciuri-jandacvis-dzirithadi-principebi.html>, ნანახია 04.12.2019

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“, 2018 წელი

გვ. 41

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, გვ. 6

[4] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019

წელი, პარ. 77

[5] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 81

[6] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრობის პირობების გაგვლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“, 2018 წელი, თავი 4.4.5

[7] Ibid., გვ 56

[8] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი

[9] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2018 წლის ანგარიში

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, დეკემბერი, 2017 წელი

[10] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 47

[11] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 93

აქტივობა 4.1.4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი)

სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება

სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე

პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება

საანგარიშო პერიოდში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტი არ შემუშავებულა და არ დამტკიცებულა. ამასთან, 4.1.4 ამოცანის ქვეშ არ არის წარმოდგენილი ინდიკატორი რომელიც კონკრეტულად ამ საქმიანობის შესრულების შეფასებას მოახდენდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემის 2018 წლის ერთიანი ყოველთვიური ანგარიშების ანალიზი აჩვენებს, რომ გაზრდილია ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ სისტემაში გავრცელებულ დაავადებეთა ყველაზე დიდი ნაწილი ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე მოდის.

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) 2018 წლის ვიზიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინსვლა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მხარდაჭერასთან დაკავშირებით არ აღინიშნება. პატიმრებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები კვლავ შეზღუდულია, არ არის ორიენტირებული პრევენციასა და დროულ დიაგნოსტიკაზე, მოიცავს მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციასა და მედიკამენტოზურ მკურნალობას და არ ხდება საჭირო დახმარების დროული იდენტიფიცირება და მიწოდება.^[1]

მონიტორინგის ორგანოების ანგარიშები ცხადყოფს რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევების საპასუხოდ 2018 წელს ცვლილებები არ განხორციელებულა. სტატისტიკის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ გაუარესებულია პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან 2017 წელთან შედარებით 2018 წლის დაავადებათა გავრცელების მაჩვენებელში უმთავრეს პრობლემას ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა წარმოადგენს, როდესაც მსგავსი მონაცემებით 2017 წელს დაავადებათა გავრცელების მაჩვენებელში სომატური ჯანმრთელობის პრობლემები დომინირებდა. ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოხდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების პაკეტის სრული დანერგვა, რაც გააერთიანებს როგორც სკრინინგს ასევე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომებზე დაფუძნებულ სტაციონარულ და ამბულტორიულ ფსიქიატრიულ დახმარებას.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 84-86

აქტივობა 4.1.4.3. პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის პრევენციის პროგრამითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბეკულოზი)

სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება

სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე

პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტურობის შეფასება გაძნელებულია შესაბამის ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო. ვერ მოხერხდა ინდიკატორებით განსაზღვრული საქმიანობის შეფასება, რადგან 2018 წელს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური სტატისტიკური ფორმიდან ამოღებული იქნა სუიციდის მცდელობის და თვითდაზიანების მონაცემების სტატისტიკა, რაც თავისთავად ნათელი მაჩვენებელია უწყების დამოკიდებულებისა აღნიშნული პრობლემის მიმართ.

2017 წლის მონაცემი თვითდაზიანებისა (1088 შემთხვევა) და სუიციდის მცდელობის (46 შემთხვევა) მაღალ მაჩვენებელს აჩვენებს. 2018 წლის მონაცემების არარსებობა არ გვაძლევს სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს საერთო სტატისტიკის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია სუიციდის მაჩვენებელი - 2018 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში 4 სუიციდის შემთხვევა დაფიქსირდა.^[1]

სუიციდის პრევენციის პროგრამის შინაარსი დადებითად არის შეფასებული სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში.^[2] აღნიშნულია, რომ პროგრამის მიერ შეთავაზებულ სერვისებს - ფსქოლოგის/ფსიქიატრის მიერ სუიციდის რისკის მიმოხილვა-შეფასება და დონის განსაზღვრა, მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ ინდივიდუალური გეგმის შექმნა - დადებითი ზეგავლენა აქვთ პატიმართა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ თითოეული სერვისი საჭიროებს ანალიზს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რაც ხაზს უსვამს პროგრამის არასრულყოფილ, არაეფექტურ იმპლემენტაციას.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ არ ხდება თვითდაზიანების შემთხვევების სუიციდთან დაკავშირება, რომ პრობლემურია სუიციდის მცდელობის განმარტება, რაც თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროგრამის ეფექტურობას, ვინაიდან თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი პაციენტებს მოცვა, შესაბამისად კი რისკების დროულად შეფასება შეამცირებდა

სუიციდის შემთხვევების რისკს.

როგორც სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშშია აღნიშნული, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ არ ხდება ზოგადად გარდაცვალების შემთხვევების, მათ შორის, სუიციდის მიზეზების ინდივიდუალური შესწავლა და ანალიზი, რაც სისტემის მესვეურებს შესაძლებლობას მისცემდა, სწორად და მიზანმიმართულად დაეგემათ მომავალში ეფექტური საჭიროებებზე მორგებული პრევენციული სერვისები.^[1]

ყოველივე ზემოაღნიშნულის, ასევე, საქმიანობა 4.1.4.3-ში ფსიქიკური აშლილობების არაეფექტიანი მართვის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სუიციდის პრევენციის პროგრამა სწორი მიმართულებით, თუმცა სერიოზული ხარვეზებით ხორციელდება, რაც ხელშესახები და გრძელვადიანი შედეგის დადგომას მნიშვნელოვნად აფერხებს.

[1] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2018 წლის ანგარიში

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“, 2018 წელი, გვ 76

[3] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.47

აქტივობა 4.1.4.4. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისი სერვისით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი)

სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება

სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე

პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ამოცანის ქვეშ წარმოდგენილი ინდიკატორი, რომელიც მიზნად ისახავს საქმიანობის შესრულების შეფასებას (ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს) არ არის კონკრეტული და გაზომვადი, არ მიუთითებს, რა სახის ჩანაცვლებითი მკურნალობის (მოკლევადიანი/გრძელვადიანი) პროგრამის შეფასებას გულისხმობს და რას განსაზღვრავს საჭიროებებში.

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამად პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოდგენილია მეთადონის პროგრამა. ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, ვერ მოხერხდა შეფასება, რამდენად შესრულდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წელს დამტკიცებული ერთობლივი ბრძანების^[1] მიხედვით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ოპოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის მიხედვით დაგეგმილი პროგრამები, რომელთა იმპლემენტაციაც 2018 წელს იგეგმებოდა #2 და #8 პენიტენციურ დაწესებულებებში.

წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის ასევე ფუნქციონირებს ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“. პროგრამის ფარგლებში მსჯავდებულებთან გადამზადებული ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მუშაობენ. თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად პროგრამის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებისა, აღნიშნულ პროგრამაში ჩართულობა ძალიან დაბალია.^[2]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში ოპოიდებზე დამოკიდებული პატიმრების მკურნალობის საშუალებები უნდა იყოს სამოქალაქო სექტორში არსებული მეთოდების მსგავსი.^[3] იმავე ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ნარკო და წამალდამოკიდებულ პატიმართა მნიშვნელოვანი რაოდენობა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზად კომიტეტი დამოკიდებულების მქონე პირების დახარების ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას მიიჩნევს.^[4] აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ნარკო და წამალდამოკიდებულ პირთათვის ხელმისაწვდომი სერვისების არაეფექტურობასა და არასაკმარისობაზე.

[1] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N92 N01-26/6, 2016 წლის 14 ივლისი

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრობის პირობების გაკვლევა პატიმართა ჯანმრთელობაზე“, 2018 წელი, გვ 92

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას

[4] Ibid., გვ. 5

მიზანი 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში

მიზნის შესრულების პროგრესი: 38.3333%

წინამდებარე გეგმის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) პატიმრების კატეგორია, ამ გეგმის თვალსაზრისით, საკმაოდ დავიწროებულია და არ მოიაზრებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე, ლგბტ ადამიანებს და ზოგადად, ყველა იმ პირს, რომლებიც, საქართველოს ციხეებში კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის გაძლიერების ფონზე, ყოველდღიური ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სამიზნეები არიან.

აუცილებლად მიგვაჩნია, მომავალში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და მოწყვლადი პატიმრების საკითხზე მუშაობისას, პენიტენციური სისტემის მესვეურებმა ყურადღება გაამახვილონ კრიმინალური სუბკულტურის კონტექსტში “დაბალ საფეხურად” მოაზრებული ადამიანების მდგომარეობაზე და კონკრეტული სტრატეგია შეიმუშაონ ამ პრობლემის აღმოფხვრის ან განეიტრალებისთვის. აღნიშნული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისითაც.

აღნიშნული მიმართულებით პირველ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით^[1] გათვალისწინებული აქტივობა - C 2.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესება, თუმცა ამ აქტივობის სათანადოდ განსახორციელებლად, ისევე, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისთვის (აქტივობა C2.3), პირველ რიგში, აღნიშნული დანაშაულების და უფრო ზოგადად, პატიმრებს შორის ძალადობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული შესწავლა და მათი აღმოფხვრის ეფექტიანი გზების დანერგვა არის საჭირო, რაც არცერთი სამოქმედო გეგმით არ მოიაზრება.

[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის ბრძანება N385 “პენიტენციურის და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე”

ამოცანა 4.2.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებული

საჭიროებების მქონე მსჯავრდებულებთან მიდგომის თავისებურებებზე, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე

ამოცანის შესრულების პროგრესი: 75%

შეფასება:

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში, განახლდა და დაინერგა თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია პენიტენციური სისტემის სოცმუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგებიც (იხ. ამოცანა 4.3.1). სასწავლო პროგრამები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა, მოწყვლადი მსჯავრდებულებთან ურთიერთობის საკითხები და ა.შ.

ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობითვე პრობაციის სისტემის ყველა თანამშრომელი და პენიტენციური სისტემის N2, N5, N8, N16 და N17 დაწესებულებების რეჟიმის თანამშრომლები (როგორც მულტიდისციპლინური გუნდის წევრები) გადამზადდნენ რისკებისა და საჭიროებების შეფასების განახლებულ მეთოდოლოგიაში.

სამწუხაროა, რომ პროგრესს გარკვეულწილად ანელებს გადამზადებული კადრების გადინების პრობლემა და ზოგადად, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით მომუშავე კადრების ნაკლებობა პენიტენციურ სისტემაში. შესაბამისი საკადრო უზრუნველყოფისა და სტაბილურობის პირობებში, განახლებული სასწავლო პროგრამები და რეგულარული ტრენინგები სასურველი შედეგის მიღწევის ეფექტიანი საშუალება გახდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით^[1] გათვალისწინებული აქტივობის - G2.2 თანამშრომლების აყვანის, შენარჩუნების და თანამშრომლების ჩართულობის/მოტივაციის სტრატეგიის განვითარება - შედეგიანად განხორციელება.^[2]

[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის ბრძანება N385 “პენიტენციურის და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე”

[2] პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის დეკემბრისთვის უკვე უნდა ფუნქციონირებდეს თანამშრომელთა აყვანის ახალი სისტემა

აქტივობა 4.2.1.1. სასწავლო პროგრამების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მზარდაქერის პროექტის EU4Justice ძალისხმევით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ადამიანის უფლებებსა და მოწყვლადი მსჯავრდებულების მართვაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესი. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე ევროპელი ექსპერტები, რაც განახლებული პროგრამების მაღალი ხარისხის გარანტია უნდა იყოს.

იმედს ვიტოვებთ, რომ განახლებული პროგრამების შინაარსი მომავალში საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება, რაც მათი სიღრმისეული შეფასების საშუალებას მოგვცემს.

აქტივობა 4.2.1.2. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა გადამზადება რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

არასამთავრობო ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“

მიერ 2018 წელს მომზადებული კვლევის “პენიტენციური სისტემის პერსონალი” მონაცემებით, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, პენიტენციური სისტემის 14 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგთა ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებებზე; 60 თანამშრომელი გადამზადდა შშმ პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებებში.

პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ხელშეწყობით, 2018 წელს და 2019 წლის პირველ ნახევარში გადამზადდნენ პენიტენციური სისტემის უფროსი მენეჯერები. კურსი, სხვა თემების პარალელურად, მოიცავდა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების თემატიკასაც.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რამდენი თანამშრომელი გადამზადდა 2018 წლის მეორე ნახევარში აღნიშნულ თემატიკაზე, არსად მოიპოვება, ზემოაღნიშნული მონაცემები კი გვაჩვენებს, რომ აღნიშნული საქმიანობის შესრულების ხარისხი, გადამზადებული თანამშრომლების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, არადაამაკმაყოფილებელია.

აქტივობა 4.2.1.3. არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ

პასუხისმგებელი უწყება:	
• სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	
ინდიკატორი:	
ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;	
გადამზადებულ თანამშრომელთა მხარედი პროცენტული მაჩვენებელი;	
სტატუსი: სრულად შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-2017 წლებისთვის მონიტორინგის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2017 წლის 3 ოქტომბრის MOC 9 17 00772750 წერილობითი პასუხის თანახმად, 2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა სპეციალიზაციის სასწავლო კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან

ურთიერთობის მეთოდოლოგია“.

სპეციალიზაციის კურსი (24 აკადემიური საათი) მოიცავს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N 668 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ სავალდებულო მოდულებს:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;

ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;

ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;

დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა.

იმავე წყაროს თანახმად, 2015-2017 წლებში აღნიშნული კურსით სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომელმა, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ინფორმაციით, ამავე პროექტის მხარდაჭერით, 2018 წლის მანძილზე გრძელდებოდა პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამების განახლება.

აქტივობა 4.2.1.4. არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მოზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მხარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice მხარდაჭერით, რისკებისა და საჭიროებების შეფასებულ განახლებულ მეთოდოლოგიაში გადამზადდნენ პენიტენციური სისტემის, მათ შორის, N11 დაწესებულების მულტიდისციპლინური გუნდები.

არასრულწლოვნებთან მომუშავე სხვა თანამშრომლების გადამზადების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები არ იძებნება.

აქტივობა 4.2.1.5. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მხარედი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-2017 წლებისთვის მონიტორინგის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2017 წლის 3 ოქტომბრის MOC 1 17 00773148 წერილით გვეცნობა, რომ 2017 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა ახალი პირველი და მეორე დონის სასწავლო კურსები სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამსახურეებისათვის. სასწავლო კურსები, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებსაც - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თანასწორობა და შემწყნარებლობა, გენდერული თანასწორობა, ძალადობის (მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა) აღკვეთა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა; მოწყვლადი ჯგუფები (მათ შორის, ქალები), მათი უფლებები და მათთან მუშაობის სპეციფიკა; სასჯელაღსრულების სისტემაში წამების და სხვა არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია; ეფექტური

კომუნიკაცია; აგრესიის, ძალადობრივი ქცევის მართვა და სხვა.

მოგვიანებით, სამინისტრომ, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, დააზუსტა, რომ აღნიშნული თემატიკა ყოველთვის შედიოდა პენიტენციური მოსამსახურეების მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამაში.^[1]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ 2017 წლის ბოლოს ჩაარებული სასწავლო კურსების საჭიროებათა კვლევის საფუძველზე დაიგეგმა 2018 წლის სასწავლო ღონისძიებები; ამასთან, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში დაიწყო ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების განახლება.

[1] დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, “ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი”, 2018 წელი, თავი 4, აქტივობა 4.6.6.1-ის შესრულების შეფასება

აქტივობა 4.2.1.6. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

იხ. საქმიანობა 4.2.1.5-ის შესრულების შეფასება.

აქტივობა 4.2.1.7. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

როგორც საქმიანობა 4.2.1.5-ის შესრულების შეფასებაში აღინიშნა, იმუამინდელი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგები წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების პროგრამების შემადგენელ ნაწილს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, გაეროს ქალთა ორგანიზაციის - UN Women და არასამათავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მონაწილეობით შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი, ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ჩაღრმავებულ მუშაობას ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გადამზადდნენ პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლებიც.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN Women ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, “[2018 წლის] 4-8 სექტემბერს, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, პენიტენციურ სისტემაში მომუშავე თერაპევტებისთვის ტრენინგით ტრენინგი ჩაატარა, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამის კუთხით მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.”

აქტივობა 4.2.1.8. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

აღნიშნული შეხვედრებისა და ტრენინგების თაობაზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

ამოცანა 4.2.2. პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ სჭიროებებზე

ამოცანის შესრულების პროგრესი: 40%

შეფასება:

აღნიშნული ამოცანით დაგეგმილი საქმიანობები შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას. არცერთი ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა.

აქტივობა 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

2018 წელს სახალხო დამცველის აპარატისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში” საუბარია მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებსაც N5 დაწესებულებაში განთავსებული ქალი მსჯავრდებულები აწყდებიან.^[1]

უპირველეს ყოვლისა, კვლავ პრობლემად რჩება ქალი პატიმრების შემოწმების საკითხი, კერძოდ კი დაწესებულებაში მიღებისას და დაწესებულების დატოვებისას კვლავ ხდება ქალი პატიმრების მიმართ სრული პირადი შემოწმების გამოყენება გაშიშვლების გზით, რა დროსაც მათ სთხოვენ ბუქნების გაკეთებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს მენსტრუალური ციკლი. აღნიშნულის გამო პატიმრები უარს აცხადებდნენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე.^[2]

იმავე ანგარიშის მიხედვით, პრობლემურია, ასევე, გაშიშვლების მეთოდი. კერძოდ, გაშიშვლებისას ქალ პატიმრებს სთხოვენ ტანსაცმლის ერთბაშად და არა ნაწილ-ნაწილ გახდას, რაც ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.^[3]

იქვე აღნიშნულია, რომ სკანერით შემოწმება, მიუხედავად N5 დაწესებულების დებულებაში არსებული ჩანაწერისა, გამოიყენება გაშიშვლებასთან ერთად და არა, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი.^[4]

სპეციალურ ანგარიშში ასევე საუბარია მთელ რიგ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე, რომლებსაც ქალი პატიმრები აწყდებიან N5 დაწესებულებაში: ცხელი წყლის არარსებობა, ვენტილაციის პრობლემები, სავარჯიშო სივრცის ნაკლებობა ზოგიერთ კორპუსში და ა.შ.^[5]

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, პრობლემურია იმ ქალთა მდგომარეობა, რომლებიც N2 დაწესებულებაში არიან განთავსებულნი, ვინაიდან აღნიშნულ დაწესებულებაში მათ ხელი არ მიუწვდებათ სპეციფიკურ სერვისებზე.^[6]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი

[2] Ibid., გვ. 23

[3] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის

პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში ჩეხეთის მთავრობას ჩეხეთში 2014 წლის 1-10 აპრილის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 31 მარტი 2015 წელი

[4] საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ. 24

[5] საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ. 26-28

[6] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 50

აქტივობა 4.2.2.2. შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებზე სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია. შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელებულ ცვლილებებზე ინფორმაცია არც სხვა ორგანიზაციების და უწყებების ანგარიშებში მოიპოვება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, N12 დაწესებულებაში არის შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული ორი ოთხკაციანი საკანი.

იმავე წყაროდან ცნობილია, რომ არასაანგარიშო პერიოდში, 2019 წლის სექტემბერში, იუსტიციის მინისტრმა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ესკორტირების ავტომანქანები გადასცა, რომელთაგან ერთი შშმ პირებზეა ადაპტირებული.¹¹

[1]

<http://sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23395-thea-tsulukianma-eskortirebisa-da-specialur-gho-nisdziebatha-mthavar-sammarthvelos-akhali-specializebuli-avtomanganebi-gadasca.html>, ნანახია 04.12.2019

ამოცანა 4.2.3. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პენიტენციური სისტემის შიგნით ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მიუხედავად მათი მდგომარეობის სიმძიმისა, წლების მანძილზე, პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. სისტემა არ აწარმოებს შშმ პირების სტატისტიკას, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლას. შშმ პირებზე ზრუნვა, წლების მანძილზე, შემოიფარგლება ზოგიერთ დაწესებულებაში პანდუსების დამონტაჟებითა და თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სახის ტრენინგებით.

აქტივობა 4.2.3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა

მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების თაობაზე არაფერია ნათქვამი სახალხო დამცველისა თუ ევროსაბჭოს წამების წინააღმდეგ

ბრძოლის კომიტეტების ანგარიშებში. თავად სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სისტემის სტატისტიკის ანგარიშებშიც შშმ პირების შესახებ არანაირი სახის მონაცემები არ ფიგურირებს.

მიზანი 4.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა

მიზნის შესრულების პროგრესი: 35.5%

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია წლების მანძილზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რაც სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მწირი რაოდენობითა და სპორადული ხასიათით, ასევე მათში ჩართული მსჯავრდებულების მცირე რიცხვით იყო განპირობებული. თუ ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშების მიხედვით ვიმსჯელებთ, რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მხრივ მდგომარეობა არც 2018 წლის მანძილზე გაუმჯობესებულა: ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი თავის 2018 წლის ანგარიშში წუხილს გამოთქვამს სარეაბილიტაციო პროგრამებისა და აქტივობების თვალსაზრისით პროგრესის ნაკლებობის გამო,^[1] ხოლო საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში საუბარია რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებული ღონისძიებების ფრაგმენტულობასა და მათ მოურგებლობაზე მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.^[2] მონიტორინგის ორივე ორგანო განსაკუთრებით უსვამს ხაზს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებულ მძიმე ვითარებას დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, სადაც მსჯავრდებულებს კვლავ სულ მცირე 23 საათის მანძილზე საკნებში უწევთ ყოფნა.

ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ძალისხმევით, პენიტენციურ სისტემაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით: ევროკავშირის პროგრამის ექსპერტთა მიერ შეიქმნა და განახლდა რისკისა და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია, შემუშავების პროცესშია ასეთივე ინსტრუმენტი არასრულწლოვნებისთვის, შემუშავდა და დაინერგა სასწავლო პროგრამები პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, შემუშავდა სარეაბილიტაციო პროგრამების ჩარჩო სამ კლასტერად, გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია და ა.შ. ყველა ამ სიახლის ადეკვატური იმპლემენტაციის შემთხვევაში, მომავალ წლებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით შესაძლებელია სერიოზული პროგრესის მიღწევა.

აქვე უნდა აღნიშნოს დადებითი სიახლე, რომელიც არასაანგარიშო პერიოდში, 2019 წელს განხორციელდა - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შეიქმნა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომლის დებულებაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის N418 ბრძანებით დამტკიცდა და რომელშიც პენიტენციური სისტემის სოცმუშაკები და ფსიქოლოგები გაერთიანდნენ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, “ცენტრალიზებული სისტემა ერთგვაროვან მიდგომებს და ეფექტიან სარეაბილიტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს. სოციალური მუშაკები ფუნქციების მიხედვით გაიყო ორ ნაწილად: შემთხვევის მმართველი და შემთხვევის ადმინისტრატორი. სოციალური მუშაკი - შემთხვევის მმართველის ფუნქცია მსჯავრდებულის შეფასება, მისთვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებაა, ხოლო შემთხვევის ადმინისტრატორის ფუნქცია შემთხვევის ადმინისტრირებაა, იგი შემთხვევის მმართველის დამხმარეა და მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კომუნიკაციას და უფლებების ადვოკატირებას უზრუნველყოფს.”^[3] იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ხარისხზე.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 72

[2] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 41-43

[3] <https://www.facebook.com/watch/?v=2571384346421667>, ნანახია 04.12.2019

ამოცანა 4.3.1. მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 17.7215%

შეფასება:

ამოცანა 4.3.1-ის შესრულების თვალსაზრისით, პირველ რიგში, დადებითად აღსანიშნავია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ძალისხმევა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი მიდგომის დამკვიდრების თვალსაზრისით: საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და განხილვის ფაზაშია პროგრამების ერთიანი სტანდარტი, რომელიც განახლებულ მიდგომას წარმოადგენს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის, ასევე აღსანიშნავია სისტემაში მომუშავე ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების გადამზადება თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებში.

ასევე დადებითად უნდა აღნიშნოს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების უფლების კანონმდებლობაში ასახვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიახლით ვერ ისარგებლებენ მაღალი რისკის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულები.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდი დადებითი დინამიკით არ გამოირჩეოდა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების თვალსაზრისით.

აქტივობა 4.3.1.1. პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცების კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა)

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მხარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

აღნიშნული საქმიანობა ჯერ კიდევ 2016-17 წლების სამოქმედო გეგმაში ფიგურირებდა (საქმიანობა 4.4.3.1). მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი დღემდე არ არის შემუშავებული.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ექსპერტების მიერ შემუშავდა სარეაბილიტაციო პროგრამების ჩარჩო, რომელიც სამ მიმართულებად იყოფა:

1. დანაშაულზე ფოკუსირებული სარეაბილიტაციო პროგრამები;
2. დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული პროგრამები
3. ზოგადი სოციალურ-კოგნიტიური უნარების განვითარების პროგრამები

აღნიშნული პროექტი ამ ეტაპზე შიდაუწყებრივი განხილვის სტადიაზეა და დამტკიცებული არ არის. ამასთან, გარკვეული მიმართულებებით უკვე ხორციელდება მუშაობა, კერძოდ:

პირველი მიმართულებით შემუშავდა და დანერგვის პროცესშია სარეაბილიტაციო პროგრამა ოჯახში მოძალადეებისთვის და პროგრამა მავნე ნივთიერებადამოკიდებულ პირთათვის. შემუშავების პროცესშია მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება სექსუალური მოძალადეების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე.

მეორე მიმართულების პროგრამებში განხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა მსჯავრდებულებთან, რომლის ფარგლებშიც, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და შემთხვევების შესწავლით მოხდება პირის დანაშაულებრივი ქცევის კორექცია.

ზოგადი სოციალურ-კოგნიტიური უნარების განვითარების კუთხით მსჯავრდებულებთან მიმდინარეობს მუშაობა ბრაზის მართვის, კომუნიკაციის, პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავების თვალსაზრისით.

აქტივობა 4.3.1.2. უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საანგარიშო პერიოდში, უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამა არ დანერგილა.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიღების უფლებას, პატიმრობის კოდექსში 2017 წლის 1-ლ ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების საშუალება მსჯავრდებულებს 2018 წლის იანვრიდან მიეცათ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სტატისტიკის ანგარიშის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მიღების უფლებით სარგებლობდა 10-დან (ოქტომბერი) 36 პატიმრამდე (დეკემბერი).

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მიღების უფლება არ ვრცელდება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებზე, რაც დისკრიმინაციულია და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

აქტივობა 4.3.1.3. პროფესიულ/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების

მიღების საშუალებით

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სტატისტიკის ანგარიშის მიხედვით, წლის განმავლობაში საგანმანათლებლო და პროფესიულ ტრენინგ-პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა ციხის პოპულაციის საერთო რაოდენობის 0.89-დან 5.9%-მდე მერყეობდა, რაც პრაქტიკულად არ განსხვავდება 2017 წლის მონაცემებისგან (6%) და ნაკლებია 2016 წლის მონაცემებზე (11%).^[1]

[1] დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, "ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი", 2018 წელი, გვ. 41

აქტივობა 4.3.1.4. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან

საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით

შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ფარგლებში, 2018 წლის პირველ ნახევარში შემუშავდა სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში დასაქმებული სოცმუშაკებისთვის ტრენინგების სპეციალური კურსი. 2018 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 94 სოციალური მუშაკი გადამზადდა თემაზე „სოციალური მუშაობის შესავალი“.^[1]

ევროკავშირის პროექტის ექსპერტის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, ქალბატონი სალომე ნამიჭეიშვილის განმარტებით, სოციალური მუშაკების ტრენინგი ჩატარდა სამ ეტაპად:

- პირველ ეტაპზე, 5 დღიანი ტრენინგ-კურსის ფარგლებში, ყველა სოცმუშაკი გადამზადდა პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაობის საკითხებში.
- მეორე ეტაპისთვის შიდა გასაუბრების სისტემით შეირჩა 27 სოციალური მუშაკი, რომელთაც გაიარეს 6 დღიანი სასწავლო კურსი ჩართულობის უნარ-ჩვევებში: კომუნიკაცია, ემპათია, ბენეფიციართან მუშაობის საბაზისო უნარები;
- მესამე ეტაპზე, რომელიც 4 დღიან სასწავლო კურსს წარმოადგენდა და რომელიც ასევე შერჩეულმა 27 სოცმუშაკმა გაიარა, მონაწილეებმა შეისწავლეს შემთხვევის მართვა, რისკებისა და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია.

ყველა სასწავლო კურსს თან ახლდა პრე და პოსტ შეფასების ფორმები.

არასაანგარიშო პერიოდში, 2019 წლის 2 და 5 თებერვალს, ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით, იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა აღნიშნული სამსახურების ფსიქოლოგებისთვის პროფესიული ზედამხედველობის სესიები, რომელთა მიზანიც იყო პრაქტიკოსი ფსიქოლოგების შემთხვევების განხილვა და პროექტის საერთაშორისო ექსპერტისგან, დენი კლარკისგან, შესაბამისი უკუკავშირის, მხარდაჭერის მიღება.^[2]

[1]

https://www.facebook.com/pg/TrainingCenterOfJustice/photos/?tab=album&album_id=2601163659904160&tn=-UCH-R, ნანახია 04.12.2019

[2] <https://www.facebook.com/EU4JusticeCorrections/posts/977235265808038>, ნანახია 04.12.2019

ამოცანა 4.3.2. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

აქტივობა 4.3.2.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინიკერების და ინდივიდუალური მენარმეობის ხელშეწყობა შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინიკერების შექმნა

დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, “დასაქმების პროგრამებში ჩაბმულია 862 მსჯავრდებული, მათ შორის, 86 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულნი არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმოო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე, ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია);”^[1]

საქართველოს სახალხო დამცველი 2018 წლის ანგარიშში აღნიშნავს: “15 პენიტენციური დაწესებულებიდან მხოლოდ ოთხ დაწესებულებაში (№5, №14, №15 და №16) ფუნქციონირებს საწარმო. პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა არ აღიქმება ისე, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს კვლავ უწევთ ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც ნაკლებად მისცემს პატიმარს იმის შესაძლებლობას, რომ განთავისუფლების შემდგომ შეუნარჩუნონ ან განუვითარონ თავის რჩენის უნარი.”^[2]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.6

[2] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.56

ამოცანა 4.3.3. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

შეფასება:

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, UNICEF-ის და “ციხის საერთაშორისო რეფორმის” მონაწილეობით, შემუშავების პროცესშია არასრულწლოვანებისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც ასევე მოიცავს გარდამავალი მენეჯმენტის კონცეფციას - არასრულწლოვანის შემთხვევის მართვა დაიწყება პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთანავე და გაგრძელდება პრობაციასა და მის გარეთ.

გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია ასევე შემუშავებულია და ამჟამად შიდაუწყებრივი განხილვის პროცესშია.

აქტივობა 4.3.3.1. გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში

პასუხისმგებელი უწყება:

- სასტელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი;

გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ხელშეწყობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით. განახლებული შემთხვევის მართვის კონცეფციის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით მუშაობა დაიწყება პენიტენციურ სისტემაში, გათავისუფლების შემდეგ მონაცემები გადაეცემა პრობაციის სისტემას.

ამოცანა 4.3.4. ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 75%

შეფასება:

ტრადიციისამებრ, ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის საკითხი გაცილებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მამაკაცი პატიმრების. საანგარიშო პერიოდში, უკვე არსებულების პარალელურად, ამუშავდა დასაქმების ორი ახალი მინიკერა, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice დახმარებით, შეიქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი, ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა ქალებისთვის. 2018 წლის მანძილზე სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო მსჯავრდებულ ქალთა საკმაოდ დიდი რაოდენობა.

აქტივობა 4.3.4.1. მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

უცნობია, განხორციელდა თუ არა მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა პენიტენციურ სისტემაში. მსგავსი კვლევის დოკუმენტი არც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი. სავარაუდოდ, პენიტენციური სისტემაში დასაქმების შესაძლებლობების სისტემური კვლევა კვლავ არ ჩატარებულა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა დაწესებულება ყოველთვის მეტ შესაძლებლობას სთავაზობდა მსჯავრდებულებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, დასაქმების და სარეკრეაციო პროგრამების სახით.

ამგვარად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, ქალთა N5 დაწესებულებაში მოეწყო სასათბურე მეურნეობა და ამუშავდა ბამბის საამქრო.^[1]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვაში მითითებულია, რომ საანგარიშო პერიოდში დასაქმების პროგრამებში ჩაბმული იყო 86 ქალი. დასაქმების კერებს წარმოადგენს სამეურნეო სამსახური, სილამაზის სალონი, სამკერვალო, ხელნაკეთი ნივთების საწარმო.^[2]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.43

[2] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.6

აქტივობა 4.3.4.2. გენდერული ნიშნით შექმნილი სპეც. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, UN Women და არასამათავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მონაწილეობით შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი, ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ჩაღრმავებულ მუშაობას ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გადამზადდნენ პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლებიც.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშების თანახმად, საანგარიშო პერიოდში ფსიქოსოციალური ტრენინგები გაიარა 175 პატიმარმა ქალმა, ხოლო ფსიქოსოციალურ თერაპიაში ჩართული იყო 153 ქალი.

განსხვავებული მაჩვენებლებებია მითითებული იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ მიმოხილვაში, რომლის თანახმადაც, 2018 წლის მანძილზე,

ფსიქოსოციალურ და სარეაბილიტაციო ტრენინგებში ჩაბმული იყო 397 ქალი მსტავრდებული.

საბოლოო ჯამში, ორივე მონაცემის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა დაწესებულების პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით სარგებლობდა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებით, რაც საქართველოს პენიტენციური სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, კარგი მაჩვენებელია.

აქტივობა 4.3.4.3. ქალ მსტავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროების მქონე მსტავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსტავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

იხ. საქმიანობა 4.3.4.2

აქტივობა 4.3.4.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა

პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საანგარიშო პერიოდში გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა არ მომხდარა. მსჯავრდებულ ქალებს დაწესებულებაში შესვლისას მიეწოდებათ გარკვეული რაოდენობის პირადი მოხმარების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები. სურვილის შემთხვევაში, ამ ნივთების შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს შეიძლება ამანათითაც მიეწოდოს.

მიზანი 4.4. ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

მიზნის შესრულების პროგრესი: 81.25%

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2012 წლის ბოლოს დაიწყო ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა, რომლის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.^[1] პროგრამის სამიზნე ჯგუფია ყველა მსჯავრდებული, რომელიც უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან. ყოფილი პატიმრების პროგრამაში ჩართვა ნებაყოფლობითია.

2019 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა "დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის გაერთიანებას და სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახით ჩამოყალიბებას. იმავე ცვლილების მიხედვით, პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადებისა და გადამზადების ფუნქციას სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი შეითავსებს, ხოლო სსიპ - პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრად“ გარდაიქმნება.

ასევე, იქმნება არასრულწოვანთა რეფერირების ცენტრი. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვრიდან.

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი

ამოცანა 4.4.1. ყოფილ პატიმრებთან ინდივიდუალური მუშაობა მათი ეფექტიანი რესოციალიზაციის მიზნით - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

აქტივობა 4.4.1.1. სოციალური მუშაკის ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან და მისი შეფასება შესაბამისი ფორმით, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება:	
• იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“	
ინდიკატორი:	
მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	
წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ.	
სტატუსი: სრულად შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

გარდამავალი მენეჯმენტის განახლებული კონცეფციის ფარგლებში, პატიმართან ინდივიდუალური მუშაობა პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში იწყება და გრძელდება სისტემის გარეთ, პრობაციის სისტემაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის გაცნობის მიზნით პროგრამის სოციალური მუშაკები პენიტენციურ

დაწესებულებებში შეხვდნენ 1 031 პაციმარს.^[1]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 4 დეკემბრის N2/111173 წერილობითი პასუხის მიხედვით, 2018 წლის მონაცემებით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში“ ყოფილ პაციმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართვის მოთხოვნით 538 მომართვა შემოვიდა. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უკეთ დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, პროგრამის სოციალური მუშაკების მიერ შეფასდა და შესაბამის მომსახურებებში ჩაერთო 332 პირი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროგრამაში სულ ჩართული იყო 500 ბენეფიციარი.

რაც შეეხება წარმატებულ შემთხვევებს, რომელთა რაოდენობაც 4.4.1 ამოცანის ინდიკატორია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს N2/111173 წერილის თანახმად, მათი, როგორც შესრულების ინდიკატორის აღრიცხვა, სამოქმედო გეგმას 2019 წლიდან დაემატა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული სტატისტიკა არ იწარმოებოდა.

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.18

ამოცანა 4.4.2. ყოფილი პატიმრებისთვის ფსიქოლოგიური და თერაპიული მომსახურების გაწევა - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ამოცანის შესრულების პროგრესი: 75%

შეფასება:

ყოფილ პაციმართა რიცხვი, ვინც დანაშაულის პრევენციის ცენტრის დახმარებით ფსიქოლოგიური და თერაპიული მომსახურების მიიღო, საკმაოდ დაბალია - (36 - ფსიქიატრის და ფსიქოლოგის მომსახურება, 27 - არტთერაპია). გამომდინარე მიმართვიანობისა და პროგრამაში ჩართულთა რიცხვის ურთიერთმიმართებიდან - 538 მიმართვა, 2018 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული 332 პირი, სულ 2018 წლის ბოლოსთვის - 500 ბენეფიციარი - განმცხადებელთა უმრავლესობა, სოცმუშაკის შეფასების შემდეგ, ჩართული იქნა პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში. ამ ფონზე ფსიქოლოგიურ-თერაპიული მომსახურების მიმღებთა დაბალი რიცხვი შესაძლოა უკავშირდებოდეს ამ მომსახურების მისაღებად მიმართვიანობის ნაკლებობას. რაც შეეხება წარმატებული შემთხვევების რაოდენობას, როგორც 4.4.2 ამოცანის შემთხვევაში, ამგვარი შემთხვევების აღრიცხვა 2019 წლიდან დაიწყო.

აქტივობა 4.4.2.1. ფსიქო კონსულტირება - ყოფილ პაციმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის

ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

მომსახურების მიმღებთა რაოდენობა

წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-12

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მომსახურება მიიღო 36-მა ბენეფიციარმა, მათ შორის, პროექტის ფსიქოლოგის მომსახურება – 21-მა ბენეფიციარმა; სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ფსიქოლოგიური მომსახურება – 9 ბენეფიციარმა; სხვა პარტნიორ ორგანიზაციაში ფსიქიატრის მომსახურებით ისარგებლა 6-მა ბენეფიციარმა.^[1]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.18

აქტივობა 4.4.2.2. არტ თერაპია - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის არტ თერაპიის მოდულის შეთავაზება.

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

მომსახურების მიმღებთა რაოდენობა

წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არტ თერაპიის კურსები გაიარა 25-მა ბენეფიციარმა.^[1]

[1] Ibid., გვ.19

ამოცანა 4.4.3. ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადება - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

აქტივობა 4.4.3.1. პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვა - პროფესიული გადამზადების მსურველი ბენეფიციარების პროფესიული გადამზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

გადამზადებული ყოფილი პატიმრების რაოდენობა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული

ტრენინგები გაიარა 134-მა ბენეფიციარმა.^[1]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ “არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს” 2019 წლის 4 დეკემბრის N2/111173 წერილობითი პასუხის მიხედვით, 2018 წლის მანძილზე, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში, პროფესიული გადამზადების კურსი წარმატებით დაასრულა 57-მა ბენეფიციარმა.

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.18

ამოცანა 4.4.4. ყოფილი პატიმრებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

შეფასება:

აღნიშნული ამოცანა მოიაზრებს ყოფილი პატიმრების დასაქმების ხელშეწყობის თვალსაზრისით განხორციელებულ აქტივობებს. საქართველოს დასაქმების ბაზრის სიმწირის, ასევე, ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და მათ მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმის გათვალისწინებით, ცენტრის ხელშეწყობით გადამზადებულ და დასაქმებულ ყოფილ პატიმართა რაოდენობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

აქტივობა 4.4.4.1. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 4 დეკემბრის N2/111173 წერილზე დანართის სახით მოგვეწოდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ სავარაუდოდ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც სხვა ქვეყნებში ჩატარებული მსგავსი კვლევების მიმოხილვის გარდა, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშემშლელი პირობებისა და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზების თანობაზე.

აქტივობა 4.4.4.2. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით ყოფილ პატიმართა გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

როგორც 4.4.3.1 საქმიანობის შესრულების შეფასებისას, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღვნიშნეთ, 2018 წლის მანძილზე ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში პროფესიული გადამზადების კურსი წარმატებით დაასრულა 57-მა ბენეფიციარმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში დასაქმდა 7 ბენეფიციარი, სარეაბილიტაციო კურსის გავლის შედეგად 37 ბენეფიციარი დასაქმდა დამოუკიდებლად, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით 26-მა ბენეფიციარმა წამოიწყო მცირე ბიზნესი.^[1]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.18

აქტივობა 4.4.4.3. ყოფილ პათიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების დასაქმება სოციალურ საწარმოში

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

პათიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ “არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს” 2019 წლის 4 დეკემბრის N2/111173 წერილობითი პასუხის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში, სსიპ “დანაშაულის პრევენციის ცენტრის” ბაზაზე მოქმედ სოციალურ საწარმოში “შეცვალე სცენარი” დასაქმებული იყო 4 ბენეფიციარი და 4 ბენეფიციარის ოჯახის წევრი.

აქტივობა 4.4.4.4. ყოფილ პათიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების ბიზნეს იდეების დაფინანსება.

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

ინდიკატორი:

პათიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, პროგრამის 26-მა ბენეფიციარმა, დანაშაულის პრევენციის ცენტრის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, წამოიწყო მცირე ბიზნესი.^[1]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი, გვ.18.

მიზანი 4.5. პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით

მიზნის შესრულების პროგრესი: 39.1667%

პენიტენციური სისტემის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით მართვა უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომელიც პრაქტიკულად ყველა სხვა მიმართულებას მოიცავს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა, რესოციალიზაციარეაბილიტაციის ეფექტიანი ღონისძიებები, პატიმრების, თანამშრომლების თუ მესამე პირების უსაფრთხოების სათანადო დაცვა წარმოუდგენელია სისტემაში, რომლის მმართველობა არ არის დაფუძნებული ადამიანის უფლებებზე.

ამგვარი მართვის ერთადერთი გზა ადეკვატური რაოდენობის პროფესიონალი თანამშრომლების არსებობაა, რომლებიც იცნობენ და იცავენ დინამიკური უსაფრთხოების პრინციპებს - რეგულარული, კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ პატიმრებთან კანონით დადგენილ ფარგლებში, სთავაზობენ, ხელს უწყობენ და ახალისებენ პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებებში მონაწილეობას, იცნობენ ამ უკანასკნელთა პრობლემებსა და საჭიროებებს და ეძებენ მათი მოგვარების გზებს.

იმ პირობებში, როდესაც სისტემაში მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებები მინიმალურია, არსებობს ძლიერი კრიმინალური სუბკულტურა და არაეფორმალური მმართველობის შორსწასული ფორმები, რომლებიც განაპირობებს პატიმართა შორის ძალადობის ესკალაციას, ხდება დისციპლინური ზომების არაერთგვაროვანი და არაადეკვატური გამოყენება და სხვა მრავალი, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით სისტემის მართვაზე საუბარი ძნელია.

უდაოდ მისასალმებელია პირველი ნაბიჯები, რაც გასულ წლებში ამ მიმართულებით გადაიდგა - რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმის შექმნა, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის დანერგვა. დადებითად აღსანიშნავია ის ძალისხმევა, რაც ამ მექანიზმების სრულყოფისთვის მიმდინარეობს და რაშიც, საქართველოს პენიტენციური სისტემის მესვეურებს აქტიურ დახმარებას უწევს ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტი EU4Justice. იმედს ვიტოვებთ, რომ პრაქტიკაში, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მიმდინარე რეფორმა უახლოეს მომავალში ხილულ შედეგს გამოიღებს.

ამოცანა 4.5.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 30%

შეფასება:

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რისკის შეფასების სისტემა კვლავ არადაამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული როგორც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT), ისე საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. პრობლემები და გამოწვევები კვლავ უცვლელია - პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურს კვლავ გადამწყვეტი სიტყვა აქვს რისკის განსაზღვრის პროცედურაში, ხოლო ფსიქოლოგებისა და სოცმუშაკების მონაწილეობა, CPT-ის შეფასებით, კვლავ ნომინალურია. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია რისკების შეფასების შედეგად დახურულ დაწესებულებებში გადაყვანილთა რაოდენობა იმის გათვალისწინებით, რომ სისტემას არ გააჩნია რისკის შემცირების ხელშეწყობი პირობები, მსჯავრდებულებს არ აქვთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების კრიტერიუმების თაობაზე, რაც შეუძლებელს ხდის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებას.

რაც შეეხება რისკებისა და საჭიროებების შეფასებას და მათზე დაყრდნობით მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას, აღნიშნული მექანიზმის შემოღება, თავისთავად, წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა როგორც წამების პრევენციის კომიტეტის, ისე სახალხო დამცველის შეფასებით, მისი პრაქტიკაში გამოყენება ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზებით ხდება - კვლავ არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულის ჩართვა აღნიშნულ პროცესში, რაც თავისთავად მიაჩნია, რომ განსაზღვრული რისკები და საჭიროებები ნაკლებად უპასუხებს კონკრეტული მსჯავრდებულის მოთხოვნილებებს, ასევე, ინდივიდუალური გეგმები ამ ეტაპზე ძირითადად ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის არსებობს, ხოლო მამაკაც მსჯავრდებულთათვის მათი შედგენა მომავალში არის დაგეგმილი.

დადებითად აღსანიშნავია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის - EU4Justice აქტიური ჩართულობა რისკებისა და საჭიროებების განახლებული მექანიზმის შემუშავებაში. აღნიშნული კვლავ სამუშაო პროცესშია, თუმცა სწორი დანერგვისა და პრაქტიკაში ადეკვატური გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს ზოგადად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიდგომების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

აქტივობა 4.5.1.1. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების პრიორიტეტულობის

გათვალისწინებით მსჯავრდებულთა სრული პოპულაციის დასაფარად

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი პენიტენციური სისტემის მნიშვნელოვან გამონწვევად მიიჩნევს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების სისტემას. „პრობლემურია მსჯავრდებულთა რისკების გადაფასებისა და ნახევრად ღია დაწესებულებიდან დახურულ დაწესებულებაში გადაყვანის პრაქტიკა; რისკების შეფასების პროცესში მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებისა და პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რისკების შემცირების ხელშემწყობი მიდგომის არარსებობა. რისკების შეფასების პროცესში მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების კონტექსტში პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა პენიტენციურ დაწესებულებებს არ ავალდებულებს, დაწესებულებაში მოთავსებისას მოახდინონ პატიმრის რისკების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირება. გარდა ამისა, მსჯავრდებულების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორი ქცევა და რა ქმედებები აისახება დადებითად ან უარყოფითად რისკის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებაზე.“¹¹

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი ასევე ეხმაურება მაღალი რისკის მსჯავრდებულთათვის განსაზღვრული რეჟიმის არაადეკვატურ სიმკაცრეს, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მომავალში რისკის შემცირებას და შესაბამისად, ნეგატიურად აისახება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, რომ „სასწრაფოდ გადაიხედოს „მაღალი რისკის“ კონცეფცია და მიდგომები, იმისათვის, რომ ნებისმიერი შეზღუდვა (ურთიერთობები, პირადულობა და გარესამყაროსთან კონტაქტი) დაწესდება პატიმრის მიმართ მხოლოდ უტყუარი და ხშირად გადახედილი (სულ მცირე ყოველ 6 თვეში) ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით“.¹²

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 51

[2] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 48

აქტივობა 4.5.1.2. ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში; ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას; შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საშიშროების რისკის შეფასების სისტემა საანგარიშო პერიოდში არ გადახედილა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანებით დამტკიცდა

“მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი”. თუმცა აღნიშნული რედაქცია კვლავ არ გვთავაზობს ახალ მიდგომებს მსჯავრდებულთა რისკის შეფასების თვალსაზრისით. ის პრობლემები, რაც საანგარიშო პერიოდში არსებობდა (იხ. საქმიანობა 4.5.1.1-ის შესრულების შეფასება), ახალი ბრძანების ამოქმედებით ვერ მოგვარდება.

აქტივობა 4.5.1.3. N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში;

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას;

შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი, 2018 წლის ვიზიტის ანგარიშში, პოზიტიურ სამართლებრივ განვითარებად მიიჩნევს რისკების ინდივიდუალურად შეფასების (ყველა პატიმრისთვის) და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის (მისჯილი პატიმრებისთვის) დანერგვას სასჯელაღსრულების სისტემაში; თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ: „სამწუხაროდ, ორივე ინსტრუმენტი შორს დგას (სათანადოდ) პრაქტიკაში განხორციელებისგან. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პატიმარს ჩაუტარდა რისკის პირველადი შეფასება, დაწესებულებების ვიზიტის შედეგად ნათელი იყო, რომ არცერთმა პატიმარმა არ იცოდა ამის შესახებ და არანაირი გზით არ ყოფილან ამ პროცესში ჩართულნი (არ გამართულა სხდომა/მოსმენა, პატიმრებს არ მიუღიათ წერილობით ინფორმაცია რისკის შეფასების შედეგების და გასაჩივრების პროცედურების თაობაზე). მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა ითვალისწინებს მულტი-დისციპლინური ჯგუფის (ოპერატიული, უსაფრთხოება,

სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური) ჩართულობას, პრაქტიკაში მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურს ენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფს სხვა პროფესიონალების დასკვნებს, და ვისი რეკომენდაციებიც, რომელიც საიდუმლოდ ითვლება (და ამ მიზეზით არ ხდება მათი გასატარობა შეფასების პროცესში მონაწილეებისთვის, ადვოკატების და პატიმრების ჩათვლით) უმეტესწილად უპირობოდ სრულდება ციხის ადმინისტრაციის მიერ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პროცედურა ფორმალურად მიმდინარეობს და სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და ექიმების გუნდის მიერ გაწეული სამუშაო დროის ფუჭად ხარჯვაა. დელეგაციის მიერ გამოკითხული პატიმრების უდიდესი ნაწილისთვის არაფერი შეცვლილა რისკის შეფასების ახალი პროცედურის შედეგად (განსაკუთრებით მათთვის, რომლებსაც „მაღალი რისკის“ კლასიფიკაცია მიენიჭათ და ამის გამო განესაზღვრათ ძალიან მკაცრი რეჟიმი, რომელიც სამართლო საკანში მოთავსებას უტოლდება).¹¹

რაც შეეხება სასჯელის ინდივიდუალურ გეგმას, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისჭილი პატიმრების უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი. თუმცა, ყველა ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულს ჰქონდა ინდივიდუალური გეგმა (N11 დაწესებულებაში პირადად გაეცნენ გეგმას და მართლაც დეტალურად და ინდივიდუალურად იყო განხილული). კომიტეტს ეცნობა, რომ მამაკაცი მსჯავრდებულებისთვისაც უახლოეს მომავალში შედგებოდა ინდივიდუალური გეგმები.

იქვე კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართონ მსჯავრდებულები, რათა თავადაც გაეცნონ გეგმებს და მაქიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა გეგმის განხორციელებაში და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ მოწვეული ექსპერტის, დენი კლარკის მონაწილეობით, საანგარიშო პერიოდში განახლდა რისკებისა და საჭიროებების მეთოდოლოგია. თავდაპირველ სისტემაში არსებულ თვისობრივ მაჩვენებლებს დაემატა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც და შეიქმნა ალგორითმი, რომლითაც იზომება რისკი თუ რამდენად შეიძლება პირმა ჩაიდინოს რეციდივი რამხელა ზიანი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავების პროცესშია სპეციფიკური ინსტრუმენტი არასრულწლოვნებისთვის.

განახლებული მეთოდოლოგიის თანახმად, რისკებსა და საჭიროებებს აფასებს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შედგება სოციალური მუშაკის და უსაფრთხოების თანამშრომლისგან და რომელშიც საჭიროებისამებრ ერთვება ფსიქოლოგი და ექიმი.

შექმნილია სკრინინგ ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდებულის პირველი შემოსვლისას დაწესებულებაში სოციალური მუშაკი აკეთებს ზიანის რისკის შეფასებას (დაბალი, საშუალო, მაღალი რისკი). პარალელურად დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება აფასებს სტატიკურ ასპექტებს (ჩადენილი დანაშაული, კრიმინალური წარსული, დაჯგუფებების წევრობა და ა.შ.). ამ ორი შეფასების შეჭერების შედეგად დგინდება მსჯავრდებულის რისკის ჯგუფი. მეთოდოლოგიის მიზანია, სისტემას მისცეს საშუალება, დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები განსაზღვრული რისკების პრევენციისთვის.

განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობაში საანგარიშო პერიოდში გადამზადდა N2, N5, N8, N11, N16, N17 დაწესებულებების მულტიდისციპლინური გუნდები.

იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში განახლებული მეთოდოლოგია წარმატებით დაინერგება პირველ ეტაპზე საპილოტე, შემდგომ კი ყველა დაწესებულებაში, რაც დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 72-73

ამოცანა 4.5.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების მიმართულებით: საჩივრების მექანიზმთან, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით ეფექტური, მათ შორის, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების გზით

ამოცანის შესრულების პროგრესი: 35%

შეფასება:

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია. აღნიშნულის შესახებ გარკვეული სახის მონაცემებს შეიცავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, რომლის თანახმადაც, საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულებს ჩაუტარდა ტრენინგები პატიმართა უფლებების თემატიკაზე, ასევე, დამზადდა ტექსტური ვიდეორგოლები, რომლებიც ერთ-ერთ სატელევიზიო არხზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სატელევიზიო რეკლამა ნაკლებად ცვლის საინფორმაციო ბროშურებს, რომლებიც პატიმრებს შეუძლიათ, მუდამ თან იქონიონ, ამასთან, უცნობია, ხელმისაწვდომია თუ არა აღნიშნული ვიდეომასალა შშმ პირებისთვის, ასევე, ქართული ენის არმცოდნე პატიმრებისთვის. აქვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ყველა მსჯავრდებულს ყოველთვის შეიძლება არ ჰქონდეს წვდომა სატელევიზიო გადაცემებისადმი, მაგალითად, შიდა კლასიფიკაციის საკანში ან სამართლო საკანში განთავსებისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამოცანა 4.5.2 მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

აქტივობა 4.5.2.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების განახლება დაბეჭდვა, დარიგება და თავალსაჩინო ადგილას განთავსება (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე)

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში;

შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-12

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, პატიმართა უფლებების შესახებ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ტექსტური ვიდეორგოლები, რომლებიც ხელმისაწვდომია ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე ყველა დაწესებულების ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის. მიუხედავად ნოვატორული მიდგომისა, ტექსტური ვიდეორგოლები ვერ ჩაითვლება საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების ჩამნაცვლებლად, გამომდინარე იქიდან, რომ მათზე ხელმისაწვდომობა გაცილებით შეზღუდულია. ამასთან, ტექსტური ვიდეორგოლები მხოლოდ ქართული ენის მცოდნე პატიმრებისთვის არის გასაგები.

აქტივობა 4.5.2.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში;

შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი 777-მა მსჯავრდებულმა გაიარა; მათ შორის, არასრულწლოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა – ბანგოკის წესების გათვალისწინებით.

ამოცანა 4.5.3. უცხოელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

აქტივობა 4.5.3.1. უცხოელ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათთვის გასაგებ ენაზე განემართოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2018 წლის ანგარიშში, ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების შეზღუდული ხელმისაწვდომობას სერვისებზე კვლავ პრობლემურ საკითხად განიხილავს.^[1]

საქართველოს სახალხო დამცველის და ადამიანის უფლებათა ცენტრის 2018 წლის ანგარიშის - "ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში" მიხედვით: მანდელას წესების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ციხის კონტინგენტს შორის ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგანი, უნდა მოხდეს თარჯიმნის მოსახურებით უზრუნველყოფა. აღნიშნული, აგრეთვე, გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების შინაგანაწესის, პატიმრის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ შორის, ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რაც დაეხმარება პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში. ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად,

უცხოელი პატიმრები მათთვის გასაგებ ენაზე სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი მათი უფლებების შესახებ.^[2]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.50

[2] საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ.32

ამოცანა 4.5.4. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება:

გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთი იმ პრობლემურ საკითხთაგანია, რომლებიც წლებია, უცვლელი რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის სპეციალური ანგარიში “მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციური სისტემაში” ასახულია ამ მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები:

- პატიმრების არაინფორმირებულობა მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებასა და განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით;
- საჩივრის კონფიდენციალობის დარღვევა, რაც არა მხოლოდ გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებს, არამედ საჩივრის ავტორის ფიზიკურ უსაფრთხოებასაც კი ემუქრება - კონფიდენციალური საჩივრის ავტორებს საკანში ეცნობებათ რეგისტრაციის ნომერი, რაც ამგვარი საჩივრების ავტორების იდენტიფიცირებას ახდენს; ყოფილა შემთხვევა, როდესაც კონფიდენციალური საჩივარი გადაგზავნილი იქნა პირს, ვისაც ის ეხებოდა; რიგ დაწესებულებებში საჩივრის ყუთები ვიდუოკამერების თვალთახედვის არეშია განლაგებული; კონფიდენციალური საჩივრის ფორმის მოთხოვნისას თანამშრომელი ინიშნავს კონვერტის ნომერს და პატიმრის სახელს და გვარს და ა.შ.
- თვითცენზურა - საჩივრისგან თავის შეკავება ადმინისტრაციისგან ან სხვა პატიმრებისგან ზეწოლის და ზოგადად, მდგომარეობის გაუარესების შიშით;
- გენინსპექციისთვის საჩივრის განხილვის ვადების არარსებობა და ზოგადად, გონივრული ვადების დაუცველობა;
- გენინსპექციის მუშაობის ხარვეზები - საჩივრების განხილვის ბუნდოვანი და არაობიექტური პროცედურა, საჩივრების დაკმაყოფილების დაბალი მაჩვენებელი, ასევე, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა;
- ზოგადად, გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების უშედეგობა - ღია საჩივრების მხოლოდ 52%-ზე იქნა მიღებული გენინსპექციის გადაწყვეტილება, ხოლო კონფიდენციალური საჩივრების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (37%);
- გადაწყვეტილებების გადაუცემლობა პატიმრისთვის;

- გადაწყვეტილებაში გასაჩივრების მექანიზმის მიუთითებლობა.

ზემოაღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილი ხარვეზები ოთხი წლის თავზე კვლავ გამოუსწორებელია.

2019 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთი სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა - “პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში”, რომელიც პენიტენციური სისტემის მესვეურთათვის ასევე არაერთ ყურადსაღებ ინფორმაციას და რეკომენდაციას შეიცავს გასაჩივრების მექანიზმის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.

კერძოდ, სპეციალურ ანგარიშში მითითებულია დისციპლინური სამართალწარმოების ისეთი პრობლემები, როგორებიცაა მათი არამართლზომიერი გამოყენება, არსებული პრაქტიკის არაერთგვაროვნება, პატიმრების ჩაურთველობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში და სხვა. ანგარიშის თანახმად, 2018 წლის მანძილზე სულ გამოყენებული იქნა 307 დისციპლინური ღონისძიება, ხოლო მათგან მხოლოდ 24 გასაჩივრდა. გასაჩივრების ასეთი დაბალი სტატისტიკა, სახალხო დამცველის აზრით, პატიმრების არაინფორმირებულობაა საერთოდ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან და დაკისრებულ სანქციასთან დაკავშირებით, რის შესახებაც, გარკვეულ შემთხვევებში, მხოლოდ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს იგებდნენ.^[1]

საანგარიშო პერიოდში გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. რაც შეეხება პრაქტიკაში არსებულ მრავალრიცხოვან ხარვეზებს, მათი აღმოფხვრის თაობაზე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებში არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში”, 2019 წ., გვ.23

აქტივობა 4.5.4.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების პერიოდული შესწავლა;

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

სტატუსი: არ არის შესრულებული	აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

უცნობია, ახორციელებს თუ არა სპეციალური პენიტენციური სამსახური გასაჩივრების არსებული მექანიზმების პერიოდულ შესწავლას. აღნიშნულ საკითხზე სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია, ოფიციალურ ვებგვერდებსა და გამოქვეყნებულ ანგარიშებშიც გასაჩივრების მექანიზმების ხარვეზების შესწავლის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

აქტივობა 4.5.4.2. გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

ამოცანა 4.5.5. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით

ამოცანის შესრულების პროგრესი: 60%

შეფასება:

აღნიშნული ამოცანა საკმაოდ ფართო ხასიათისაა და მის შესრულებას მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობები ნაკლებად უზრუნველყოფს.

საქართველოს კანონის “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” მე-2 მუხლის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად, ზოგიერთი სხვა სახის მონაცემებთან ერთად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება “ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები,

რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა”. აღნიშნული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აკრძალულია იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გარდა სუბიექტის წერილობითი თანხმობისა, ან იმ შემთხვევებისა, როდესაც “ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით”.^[1] თუმცა ამ შემთხვევებშიც დაშვებულია მხოლოდ მონაცემების დამუშავება, ხოლო მათი გასაჯაროების ან მესამე პირისთვის გამჟღავნებისთვის მონაცემთა სუბიექტის თანხმობა აუცილებელია.^[2]

ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევები, რომლებშიც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერი, მოიცავს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, როგორც სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ (მაგ. პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს წევრები), რომელთაც ხელი მიუწვდებათ პატიმრების პერსონალურ მონაცემებზე. შესაბამისად, ამ საკითხის სრულად მოსაცვლად, არა მხოლოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის, არამედ სახელმწიფო ინსპექტორის აქტიური ძალისხმევაა საჭირო. ამ უკანასკნელის მხრიდან, უშუალოდ დაწესებულებებში არსებული დარღვევების თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ პირთა მიერ მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების მინისტრის 2011 წლის 25 მაისის N90 ბრძანება “ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ”, რომლის თაობაზეც ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-17 წლებისთვის შესრულების შეფასებაშიც იყო საუბარი.^[3]

[1] საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”, მუხლი 6, პუნქტი 2, “ვ” ქვეპუნქტი

[2] Ibid., მუხლი 6, პუნქტი 3

[3] დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, “ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი”, 2018 წელი, ამოცანა 4.3.2-ის შესრულების შეფასება

აქტივობა 4.5.5.1. პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია

ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 20%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ამ ეტაპზე უცნობია მოხდა თუ არა პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მულტიდისციპლინარული გუნდების გადამზადების პროგრამა (იხ. ამოცანა 4.2.1-ის შესრულების შეფასება) აუცილებლად მოიცავდა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებსაც, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მონაცემების სხვადასხვა სახეობაზე პენიტენციური სისტემის პრაქტიკულად ყველა თანამშრომელს მეტ-ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. შესაბამისად, მხოლოდ ერთი სახის ტრენინგის მაგალითზე ვერ ვიმსჯელებთ, რამდენად აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ყველა მათგანის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების 70-მდე პროცესი შეისწავლა. აქედან 10 შეეხებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს/იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. 10-დან 5 შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნა ჯარიმა.^[1]

იმავ ანგარიშის თანახმად, “გასულ წლებთან შედარებით 2018 წელს საგრძნობლად შემცირებულია სამართალდამცავ სექტორში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომართვიანობა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობის გზით ან სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას მონაცემების დამუშავების ფაქტებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და უწყების მხრიდან გატარებული ზომების ეფექტზე.”^[2]

საგულისხმოა, რომ 2017 წლის ანგარიშში სახელმწიფო ინსპექტორი ასევე აღნიშნავს კლების ტენდენციას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომართვიანობასთან დაკავშირებით პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის გზით და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას მონაცემების დამუშავების ფაქტებთან მიმართებით, რაც, ინსპექტორის აზრით, “მიუთითებს ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან გატარებული ზომების დადებით ეფექტზე.”^[3]

იმავ ანგარიშში მითითებულია პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე:

- ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის თაობაზე მსჯავრდებულების არაინფორმირებულობა;^[4]
- ტელეფონით სარგებლობისას არსებული პრობლემები;^[5]

სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშში არაფერია ნათქვამი

აღნიშნული პრობლემების მოგვარების თაობაზე. თუმცა, როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში ცხადყოფს, პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები პენიტენციურ სისტემაში კვლავ უცვლელია.^[6]

[1] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2018 წ., გვ. 62-63

[2] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018 წ., გვ.62

[3] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წ., გვ.38

[4] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წელი, გვ.44-45

[5] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ანგარიში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ”, 2017 წელი, გვ.52-53

[6] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ.33, 48

აქტივობა 4.5.5.2. არქივის ცენტრალიზების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებათა დაარქივებული დოკუმენტაცია ეტაპობრივად გადაეცემა და დარჩენილის კანონის შესაბამის ვადაში განადგურება (ცენტრალიზების პროცესი დაწყებულია).

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია

ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ინფორმაციით, ევროკავშირის სპეციალური ექსპერტის ჩართულობით, მიმდინარეობს პენიტენციური და პრობაციის ერთობლივი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლის ფარგლებშიც დაარქივდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა მონაცემები და რომელიც გარდამავალი მენეჯმენტის დანერგვის ერთ-ერთი ელემენტი იქნება.

ამოცანა 4.5.6. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პენიტენციურ დაწესებულებებში

ამოცანის შესრულების პროგრესი: 60%

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ინფორმაციით, ევროკავშირის სპეციალური ექსპერტის ჩართულობით, მიმდინარეობს პენიტენციური და პრობაციის ერთობლივი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლის ფარგლებშიც დაარქივდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა მონაცემები და რომელიც გარდამავალი მენეჯმენტის დანერგვის ერთ-ერთი ელემენტი იქნება.

შეფასება:

აღნიშნული ამოცანა და მის ქვეშ მოცემული ერთადერთი საქმიანობა წინამდებარე გვერდის ხარვეზიანობის საუკეთესო მაგალითია. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ამოცანასთან, რომლის შესრულებაც გულისხმობს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს/განხორციელდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა, რაც არათუ საანგარიშო პერიოდში, უახლოეს მომავალშიც კი საკმაოდ პრობლემურად გვესახება (იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ კი გვაქვს აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ერთადერთი საქმიანობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში საკმაოდ წარმატებით განხორციელდა.

ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ანგარიში საკმაოდ შემაშფოთებელ ინფორმაციას შეიცავს პენიტენციური დაწესებულებების მართვის მეთოდებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია N15 დაწესებულების ვითარება, რომელშიც, კომიტეტის დასკვნით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს “ციხის არაფორმალური იერარქიის გავლენა.”^[1] კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ თავად დაწესებულების ადმინისტრაციის აღიარებით, ისინი იძულებულნი არიან, წესრიგისა და უსაფრთხოების კუთხით უფლებამოსილებები “ძლიერ პატიმრებთან” გაინაწილონ.

აღნიშნული ძალიან შორს არის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისგან, ვინაიდან არაფორმალური მმართველობა, რომელიც არა მხოლოდ N15 დაწესებულების პრობლემაა, პატიმრებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის პირდაპირი მაჩვენებელია, ხოლო ამგვარი მმართველობის არსებობა ეჭვგარეშე მიანიშნებს ციხის მართვის კუთხით არსებულ სერიოზულ პრობლემებზე, რაც არაორაზროვნად არის მითითებული ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშშიც.^[2]

ყოველივე ზემოაღნიშნული, ისევე, როგორც ადამიანური რესურსების არაეფექტური მართვა, რაც დატრენინგებული პერსონალის გადინებაში გამოიხატება, ეჭვქვეშ აყენებს იმ პოზიტიურ ღონისძიებებსაც, რაც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. კერძოდ, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice მხარდაჭერით მომზადდა სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე. ციხის მართვის თანამედროვე მეთოდებსა და პატიმრების უფლებების კუთხით აქტუალურ თემებზე დატრენინგდნენ ყველა დაწესებულების მენეჯერები.

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 51

[2] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 52

აქტივობა 4.5.6.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე მაღალი და შუა რგოლის მენეჯერების გადამზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებებში, ციხის მართვის თანამედროვე მეთოდებსა და დინამიკური უსაფრთხოების პრინციპებში გადამზადდნენ პენიტენციური დაწესებულებების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები და რეჟიმის თანამშრომლები. პროექტის ფეისბუქ გვერდის ინფორმაციით, აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 2018-2019 წელს და მასში მონაწილეობა მიიღო 15 პენიტენციური დაწესებულების 82-მა მენეჯერმა.^[1]

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 15 დატრენინგებული დირექტორიდან შვიდმა უკვე დატოვა თანამდებობები, რაც გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს.

[1] <https://www.facebook.com/EU4JusticeCorrections/photos/a.570554886476080/1050052295193001/?type=1&theater>, ნანახია 04.12.2019 წ.